საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №13(243) 2021 წ. 1-15 ივლისი ფასი 1 ლარი

სტიქია კვლავ უტევს კახეთს

6 ივლისს საღამოს საათებში ძლიერმა ქარიშხალმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში შიდა საუბნო და ცენტრალურ გზებზე ტანმაღალი ხეები წააქცია, რის შედეგადაც რამდენიმე ლოკაციაზე გზის სავალი ნაწილი ჩაიხერგა. დაზიანდა ელექტრო გადამცემი სადენები და ზოგიერთ სოფელში საცხოვრებელ სახლს გადახადა სახურავი.

სამუშაო ჯგუფები და შესაბამისი ტექნიკა ოპერატიულად გავიდა სტიქიის ზონებში, ჩატარდა გაწმენდითი სამუშაოები. ბადიაური-ყანდაურის დამაკავშირებელ გზაზე, მანავსა და გიორგიწმინდაში მოძრაობა მალე აღდგა.

თითოეულ სოფელში, სადაც სტიქიამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მოსახლეობას, მუნიციპალიტეტის მერიის ზარალის დამთვლელმა კომისიამ, სააღრიცხვო სამუშაოებ დაიწყო.

თოხლიაურში 2 ჰა ვენახი ქარიშხალმა მნიშვნელოვნად დააზიანა (სურათზე).

„რაც დავიწყებით არ იბინდება“
ტამიშის ბრძოლიდან 28 წელი გავიდა...

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე ალექსი გილაშვილმა საკრებულოს თავჯდომარე ოთარ ჩალათაშვილთან, ბადიაურის სოფლის რწმუნებულ-კახაბერ ჩალათაშვილთან და საკრებულოსა და მერიის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ტამიშის ბრძოლაში დაღუპულ გმირებს პატივი მიაგო.

1993 წლის 2 ივლისს დაბა ტამიშთან 23 და 24 ბრიგადის ქვედანაყოფებზე სამხედრო შეტაკების დროს 19 მებრძოლი დაიღუპა. მათ შორის, საგარეჯოს რაიონის სოფელ ბადიაურის მკვიდრნი -კახა გიქორაშვილი და მამუკა ხატისაშვილი.

19 გმირის სახელზე ბადიაურში მემორიალური კომპლექსია აგებული.

მინაწერს მემორიალზე : "დაიგვიანეს, აღარსად ჩანან" - უგზო -უკვალოდ დაკარგული კახა გიქორაშვილის დედა ზინაიდა შვილის გამოჩენის იმედით 28 წელია გაჰყურებს.

მუნიციპალიტეტის მერის სახელით კახა გიქორაშვილის ოჯახს მადლობის სიგელი გადაეცა.

მერიის წარმომადგენლებმა მამუკა ხატისაშვილის საფლავი თაიგულებით შეამკეს და პატივი მიაგეს ტამიშის ომის გმირს.

დეპუტატი ამომრჩევლთან
არსებული საჭიროებების გამოსავლენად

საგარეჯო-დედოფლისწყაროს და სიღნაღი-გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატი - დავით სონღულაშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილე ალექსი გილაშვილთან ერთად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებს – თოხლიაურსა და გიორგიწმინდას ეწვია. ინფრასტრუქტურული სამუშაოები ადგილზე მოინახულა, ადგილობრივი მცხოვრებლებისგან მოსაზრებები მოისმინა და არსებულ საჭიროებებზე გაესაუბრა.

რომ სოფელ თოხლიაურში შიდა საუბნო გზის მოწყობისა და სანიაღვრე სისტემის სამონტაჟო სამუშაოები დასრულდა. გიორგიწმინდის თემში კი, წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, ე. წ. „ნასადგომარის“ წყლის პროექტის სამუშაოების მეორე ეტაპი მიმდინარეობს. გარდა ამისა, ორივე ადმინისტრაციულ ერთეულში „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პრიორიტეტული პროექტების სამუშაოები აქტიურ ფაზაშია.

დეპუტატი დავით სონღულაშვილი, არსებული საჭიროებების გამოვლენის მიზნით, მოსახლეობასთან შეხვედრებს სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც გეგმავს.

მუნიციპალიტეტში
არსებული და დაგეგმილი ბიზნესის ხელშეწყობისათვის

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განვითარების, საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო პროექტების განყოფილების ინიციატივით, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ასოციაცია „სპექტრის“ მხარდაჭერით, საგრეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში, საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, ბიზნესფორუმი გაიმართა.

ღონისძიებას ადგილობრივი ხელისუფლების პირველი პირები ესწრებოდნენ, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და მომხსენებლებმა თავიანთი ხედვების და საჭიროებების შესახებ ინფორმაცია გაუზიარეს დამსწრეებს.

პროექტი "მუნიციპალური სერვისების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტის (MUSQAT)" ფარგლებში (პროექტი ხორციელდება ა(ა)იპ კონსულტაციისა და ტრენინგების ცენტრს და ევროკავშირს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ქვეშ), სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ასოციაცია "სპექტრისა" და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ერთობლივი ორგანიზებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მოქმედი და პოტენციური ბიზნეს სუბიექტებისათვის ჩატარდა.

ფორუმის განმავლობაში მიმოიხილა მუნიციპალიტეტში არსებული და დაგეგმილი ბიზნესის ხელშემწყობი ღონისძიებები.

შეხვედრის ბოლოს, საჯარო-კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რაც სამომავლოდ ურთიერთთანამშრომლობისა და კოორდინაციის გრძელვადიან სტრატეგიას ითვალისწინებს.

ქეთი გრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრეს-სპიკერი

ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

6 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 2021 ᲬᲔᲚᲘ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ***ამავე მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე*** **ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** უძღვებოდა. თათბირის დასაწყისში მან ვრცელი მიმოხილვა გააკეთა , ისაუბრა covid-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ინფექციისაგან თავდაცვის ეფექტურობაზე, მერის წარმომადგენლებს მოუწოდა, განსაკუთრებული ყურადღებით და პასუხისმგებლობით მოეკიდნენ აღნიშნულ საკითხს, დროულად მიიტანონ მოსახლეობასთან სწორი ინფორმაცია, აუხსნან მოსალოდნელი საშიშროებაც და საყოველთაო ვაქცინაციის აუცილებლობა. ამასთან, ხაზგასმით აღინიშნა: თუ ვინმე ვერ მოახერხებს სამედიცინო დაწესებულებამდე გადაადგილება-ტრანსპორტირებას, მის გადაყვანას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს. რაც შეეხება იმუნიზაციის კაბინეტებს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ასეთი ორია: საგარეჯოში არსებული შპს „ჯეოჰოსპიტალს“-ის სამედიცინო ცენტრი და სოფელ იორმუღანლოში არსებული სამედიცინო დაწესებულება შპს „დიაგნოზი“. დარეგისტრირება მოხდება ონლაინ და ცოცხალი რიგითაც.

მერის წარმომადგენლებს მუნიციპალიტეტის თემებსა და სოფლებში დაურიგდათ სპეციალური მასალა მოსახლეობისათვის გასაცნობად.

თათბირზე მოსახლეობის ჯერ კიდევ დაურეგისტრირებელი მიწების დარეგისტრირების წესის შესახებ მერის წარმომადგენლების მიერ სოფლებში – ყანდაურაში, თულარში, ხაშმში, უჯარმაში დასმულ შეკითხვებს უპასუხა გიორგი ლალიაშვილმა. ამასთან, მან ყურადღება გაამახვილა და გამოიკითხა პროგრამა „სოფლის მხარდაჭერის“ პროექტების განხორციელების მდგომარეობა და აღნიშნა, რომ აუცილებლად გამოიჩინონ პასუხისმგებლობა და მშენებლებს კატეგორიულად მოსთხოვონ მიმდინარე პროექტების სრულყოფილად და ხარისხიანად შესრულება.

თათბირზე კიდევ ერთხელ გამახვილდა ყურადღება სოფლებში სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგების პრობლემაზე. როგორც მერის წარმომადგენელმა ყანდაურის თემში ვალერი ცანკაშვილმა აღნიშნა, ყანდაურის მოსახლეობა დღესდღეობით ყოველდღიურად მარაგდება სოფელში ავტომანქანა-ცისტერნის საშუალებით, რომელსაც 50 ტონა წყალი შეაქვს დღის განმავლობაში. აქვე აღინიშნა, რომ სოფელ ბადიაურის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ვერ იღებს სასმელ წყალს. მიზეზი?! როგორც სოფელ ბადიაურში მერის წარმომადგენელმა კახა ჩალათაშვილმა აღნიშნა, ბადიაურის მოსახლეობის ნაწილი სასმელ წყალს ზემო ყანდაურიდან იღებს, რომლის ხაზიც სოფელ ყანდაურაში ე.წ. „გადასახედავის“ უბანში გამოდის. აღნიშნული უბნის მოსახლეობა უნებართვოდ სარგებლობს წყალსადენით და იყენებს პირადი საჭიროებისათვის. აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად თათბირზე დაისახა საჭირო გზა – კონკრეტულად, „გადასახედავის“ უბნისათვის სასმელი წყლის ცალკე ხაზის გაყვანა, ამ საკითხის მოგვარებაში ოპერატიულად ჩაერთვება აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და სასმელი წყლის ხარისხის დაცვის ცენტრის“ ხელმძღვანელობა.

მერის წარმომადგენელმა სოფელ მზისგულში მიხეილ ობოლაშვილმა სოფლის სახელით მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს ხელმძღვანელობას სოფლის მოსახლეობის მიმართ მზრუნველობისათვის – დღეს სოფლის მოსახლეობას ათეული წლობით მოუგვარებელი პრობლემა მოუგვარდა – მათ სასმელი წყლის 24 საათიანი მომარაგება აქვთ.

გიორგი ლალიაშვილმა მუნიციპალიტეტის მერის თითოეული წარმომადგენლისგან მოისმინა სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ხორცშესხმის მდგომარეობა. მერის წარმომადგენლის დიდ ჩაილურში ნოდარ როსტიაშვილის თქმით, სოფელში მიმდინარეობს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გათვალისწინებული პროექტი – გარე განათება, მინი სტადიონის წესრიგში მოყვანა.

მერის წარმომადგენელი ყანდაურის თემში ვალერი ცანკაშვილის ინფორმაციით – სოფელში გარე განათების სამუშაოები 30 ივნისს დაიწყო. რაც შეეხება ჭაბურღილის მოსამზადებელ სამუშაოებს, კარგა ხანია დაიწყო.

მერის წარმომადგენელი სოფელ ნინოწმინდაში – თამარ გარსევანიძე – ნინოწმინდა-წყაროსთავის დამაკავშირებელ ახლადმოასფალტებულ გზაზე სანიაღვრე არხების სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს, ამოიცვალა ჭაბურღილის ტუმბო.

მერის წარმომადგენელის გომბორის თემში ზაზა ხიზანიშვილის ინფორმაციით, სოფელ რუსიანში დაიწყო სკვერის მშენებლობის სამუშაოები.

თოხლიაური – მზია ჭყრუნიშვილი: გასუფთავდა საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორია, დაწყებულია სტადიონის მშენებლობა.

თათბირზე განხილული საკითხები შეაჯამა გიორგი ლალიაშვილმა და შპს „საგარეჯოს“ დირექტორ თამაზ კუჭუაშვილთან ერთად შეადგინა გეგმა-გრაფიკი – სოფლებში ჩასატარებელი მიწის სამუშაოების შესახებ.

თათბირს ესწრებოდნენ მუნიციპალტეტის მერიის განყოფილებათა უფროსები, მერის პრესსპიკერი, მერიის მერის წარმომადგენლებთან მუშაობის განყოფილების თანამშრომლები.

ᲔᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲖᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ, ᲛᲘᲜᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲜᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ.

ᲛᲘᲜᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ:

ᲜᲘᲜᲝᲬᲛᲘᲜᲓᲐ - მინი სტადონის მოწყობის სამუშაოები. ღირებულება - 74882.8, მშენებლობას აწარმოებს სამშენებლო კომპანია - შპს “მაია”

ᲞᲐᲢᲐᲠᲫᲔᲣᲚᲘ - მინი სტადონის მოწყობის სამუშაოები. ღირებულება -76792.04, სამშენებლო კომპანია - შპს “დეკა”

ᲓᲣᲖᲐᲑᲠᲐᲛᲐ - მინი სტადონის მოწყობის სამუშაოები - ღირებულება -74882.8, სამშენებლო კომპანია - შპს “მაია”

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲩᲐᲘᲚᲣᲠᲘ - მინი სტადონის მოწყობის სამუშაოები ღირებულება -74882.8, სამშენებლო კომპანია - შპს “მაია”

ᲗᲣᲚᲐᲠᲘ - მინი სტადონის მოწყობის სამუშაოები ღირებულება -74882.8 სამშენებლო კომპანია - შპს “მაია”

ᲓᲘᲓᲘ ᲩᲐᲘᲚᲣᲠᲘ - სტადიონის მშენებლობის სამუშაოები - ღირებულება - 92887.65, სამშენებლო კომპანია - შპს “საგზაო 333”

ᲛᲖᲘᲡᲑᲣᲚᲘ - მინი სტადონის მოწყობის სამუშაოები. ღირებულება - 72570, სამშენებლო კომპანია - შპს “მაია”



ᲗᲝᲮᲚᲘᲐᲣᲠᲘ - მინი სტადონის მოწყობის სამუშაოები. ღირებულება - 72570 სამშენებლო კომპანია - შპს “მაია”

ᲛᲐᲜᲐᲕᲘ - არსებული მინი სტადიონის რეაბილიტაციის სამუშაოები. ღირებულება - 35373.52, სამშენებლო კომპანია - შპს “ჯ.აი.სი”

ᲑᲐᲓᲘᲐᲣᲠᲘ - მინი მოედნის რეაბილიტაციისა და ხელოვნური საფარის მოწყობის სამუშაოები. ღირებულება - 41300, სამშენებლო კომპანია - შპს “მარტვილ მშენი”

ᲧᲐᲜᲓᲐᲣᲠᲐ - მინი მოედნის რეაბილიტაციისა და ხელოვნური საფარის მოწყობის სამუშაოები. ღირებულება - 41300, სამშენებლო კომპანია -შპს “მარტვილ მშენი”

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ:

ᲣᲓᲐᲑᲜᲝ - სპორტული დარბაზის მშენებლობის სამუშაოები - ღირებულება - 342996.07, სამშენებლო კომპანია - შპს “ბეგი ჯორჯია”

ᲜᲘᲜᲝᲬᲛᲘᲜᲓᲐ - სპორტული დარბაზის მშენებლობის სამუშაოები. ღირებულება - 297000, სამშენებლო კომპანია - შპს “ტერმინალი”.

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ-3 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

სოფლის მეურნეობა

მევენახეთა საზრუნავი მუდამ რთველი და ყურძნის ფასებია

მუნიციპალიტეტის *მევენახეთა შრომა გადამწყვეტ სტადიაშია. კიდევ ერთი თვე– თვენახევარი და ვენახები „დაიკეტება“; მთელი წლის შრომითა და ჯაფით გადაღლილი. მეზვრეები დროებით შეისვენებენ, რომ მომზადებული და მუხლგამართულნი შეეგებნენ პოეტების ენით „ვაზის ქორწილის“ – მათთვის კი წინა შრომისაგან თუ მეტი არა, არანაკლებ მძიმე და საპასუხისმგებლო საქმეს – რთველს. ამ პროცესს ხომ მათ საქმიანობაში ყოველთვის დიდი ფიქრი და საზრუნავი სდევს თან – სად და როგორ ჩააბარონ მოწეული მოსავალი ისე, რომ ყურძენზე გაწეული შრომა და ხარჯები აინაზღაურონ და ოჯახის სარჩენად თუ მომავალი სამუშაოებისათვისაც გადაინახონ თანხები. მანამდე კი ამ თვე-თვენახევარში მათ უნდა მოასწრონ დარჩენილი სამუშაოების ჩამთავრება, ვაზის მწვანე ოპერაციები, ცის გახსნა. დამუშავება-გასუფთავება, მორწყვა, რომ ივრის სარწყავმა წყალმა ვაზს ზაფხულის აუტანელი სიცხეები გადაატანინოს და მეტი დალა ჩაუყენოს დახუნძლულ მტევნებში. ერთი სიტყვით, წინასართველო სამუშაოები და სამზადისია ივრისპირეთის ზვრებში. ხოლო თუ როგორ რთველს მოელიან ჩვენი მევენახეები, გავესაუბრეთ მევენახეობითა და მეღვინეობით ოდითგანვე განთქმულ სოფელ მანავის რამოდენიმე მევენახეს.*

– ტყუილად იტყვის ვინმე, რომ მევენახე კაცი როდისმე იყოს დასვენებული და საქმისგან მოცლილი. ფეხზე დგას თუ ზის, ჭამს თუ სვამს, მისი ფიქრი და საზრუნავი ვაზს დასტრიალებს, – ***მეუბნება ე.ა*** – მართალი უთქვამთ, ვაზს შვილივით მოვლა უნდაო, ცოტას მოადდუნებ ყურადღებას და კარგად მეყოლეთ, ხელიდან გამოგეცლებათ წლის სარჩო და ნაშრომი. ვაზს ყოველთვის ყურადღება და მზრუნველობა სჭირდება დაწყებული ზამთრის სამუშაოებით და რთვლით დამთავრებული. და მხოლოდ ღმერთმა იცის ამ მძიმე და მომქანცველი შრომის შემდეგ ბოლოში რა გელოდებათ, აინაზღაურებ თუ ვერა შენი შრომის შედეგს. ამ საქმეში იოლი და ადვილი არაფერია. დაამთავრებს თუ არა მევენახე ყურძნის კრეფას და რთველს, იმის თადარიგს იჭერს, როგორ ჩაუყაროს საფუძველი მომავალი წლის მოსავალს და გასცვივა თუ არა ვაზს ფოთოლი, ისევ ვენახს უბრუნდება. ზამთარში, ვიდრე მუშაობის ხელსაყრელი დარებია, უნდა მოასწროს ვაზის გასხვლა, ანასხლავის გამოტანა, რიგთაშორისების ხვნა, რომ შემდეგ ამინდებმა არ დაადალატონ და დარჩენილმა საქმემ დარჩენა და სხვა სამუშაოების ჩამორჩენა არ გამოიწვიოს.

საერთოდ, მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ვაზი გაზაფხულის პირზე უნდა ისხვლებოდეს, მაგრამ მევენახეებს, ვისაც დიდი ოდენობით ვენახები აქვთ, ამას გაზაფხულზე ვერ მოასწრებენ და ამიტომ ზამთარში სხლავენ, რომ საგაზაფხულოდ მზად იყვნენ სხვა სამუშაოების ჩასატარებლად. სწორედ ამ დროიდან იწყება მათი გასაჭირიც. ვაზის დაკავებას მისი წამლობა მოსდევს, რომელსაც ასე დიდი მნიშვნელობა აქვს მევენახის მთლიან შრომაში, რათა ვაზის დაავადებებმა და მავნებლებმა არ დააზიანონ ვაზი და ყურძენი. და სწორედ ამ დროიდან აწყდება მევენახე პრობკლემებსა და სირთულეს. პირველი-მეორე წამლობა მას სხვებთან შედარებით იაფი უჯდება, შემდეგში კი – ვაზის ნაზარდის ზრდის კვალობაზე, თანდათან ძვირდება, განსაკუთრებით წელს, როცა ვაზის დაავადებათა საწინააღმდეგო შხამ-ქიმიკატებზე ფასები ასე საგრძნობლად მაღალია. საშუალოდ, ერთი ჰექტარი ვენახის შეწამლვა ახლა 200-300 ლარის ფარგლებშია. ხშირად გაიგონებთ, რომ ზოგიერთი პრეპარატი მოძველებულია და ორმაგი დოზით გვჭირდება წამლის დაყენება. ახლა ეს ფასი რომ იმ რაოდენობაზე გადავიყვანოთ, რაც წამლიანობის სეზონზე ვაზს სჭირდება, საკმაოდ სოლიდური თანხა გამოდის. პირადად მე შვიდჯერ მაქვს შეწამლული ვენახი; არიან ზოგიერთები, რომლებიც ამბობენ, რომ 10-11-ჯერ აქვთ შეწამლული ვენახი.

იაფი და იოლი არც სხვა სამუშაოების ჩატარებაა. რიგთაშორისების მოხვნის გარდა, ვენახს მინიმუმ ორი კულტივაციის ჩატარება მაინც სჭირდება. ერთი 100 მეტრიანი რიგთაშორისის დამუშავება 2.5-3 ლარის ფარგლებშია, პლუს 1 ლიტრი დიზელის საწვავი. ამას დაუმატეთ ვაზის ძირების გამოსუფთავება, მწვანე ოპერაციები – ფურჩნა, ახვევა, ცის გახსნა – ყველაფერ ამას ერთი მევენახე როგორ აუვა! საჭიროა მუშახელის ქირავნობა. ერთი კაცის დღიური ღირებულება სამუშაოდან გამომდინარე 40-50 ლარის ფარგლებშია. როგორც მოგეხსენებათ, არც თვით ყურძნის დაკრეფა-ჩაბარების პროცედურაა მარტივი და იოლი. სხვა სამუშაოების შესრულებისას არც რთვლის ჩატარების ხარჯები ჩამოუვარდება. ცალკე პრობლემაა ყურძნის მიმღებ ქარხნებში ტრანსპორტირება-ჩაბარება. ახლა ამბობენ, რომ დაწყებულია ვენახების კადასტრი, რაც ამ პროცედურას გაამარტივებს, თუმცა მევენახეთა მთავარ მოთხოვნაზე – ყურძენზე ჩასაბარებელი ფასების მომატებაზე ჯერჯერობით არაფერს ამბობენ. თვითონ მევენახეები არაფერს ვამბობთ ხოლმე ჩვენს პირადად გაწეულ შრომაზე, ტრანსპორტირებასა და სხვა ხარჯებზე.

და ბოლოს, რომ დავიანგარიშოთ, გამოდის, რომ ვენახების პატრონს გაწეული ხარჯების მეოთხედიღა რჩება. ყურძენზე ისეთი ფასები უნდა იყოს, რომ თანაბრად მისაღები იყოს მევენახეებისთვისაც და ყურძნის შემსყიდველებისთვისაც, რომლებიც ამ დრომდე მევენახესთან შედარებით მეტ მოგებაშია, თუმცა, ამ ბოლო ხანებში მსოფლიოში დატრიალებულმა პანდემიამ, ყურძნის ჩამბარებლებსაც არანაკლები პრობლემები შეუქმნათ და როგორც ამბობენ, ვერ ახერხებენ ჩაბარებული ყურძნის ღვინოების რეალიზაციას.

– კახეთის ერთ-ერთი ღვინის ქარხანასთან ახლო ურთიერთობა მაქვს, რადგანაც ხშირად მიწევს იქ ყურძნის ჩაბარება, – ***მითხრაკ. მ-მ.*** – ამასწინათ, მომავალ რთველთან დაკავშირებით ვესაუბრე მათ თანამშრომლებს და მითხრეს, რომ მარტო შარშანდელი პროდუქცია კი არა, ორი-სამი წლისაც ხელუხლებლად აქვთ შენახული და ვერ ახერხებენ მის რეალიზაციას, არ იციან როგორ გაიტანენ თავს და ამ რთველზე როგორ მოიქცევიან. მე სხვა ჯიშის ვაზთან ერთად საფერავიც მაქვს გაშენებული. ერთ-ერთი კვების ორგანიზაცია შემითანხმდა და დამაწურინა, 2 ტონა საფერავი ღვინო შემანახვინეს, მათ ფასიც წინასწარ გადამიხადეს, შემდეგში მითხრეს, რომ შეძლეს მხოლოდ 200 ლიტრის რეალიზება, რადგან პანდემიამ შეუშალათ ხელი და მომავალში წაიღებდნენ დარჩენილ ღვინოს. მართალია, მათ არ მოუთხოვიათ, მაგრამ წინასწარ გადახდილი ფული უკანვე დავუბრუნე, რადგან ვინ იცის, რა მოხდება მომავალში. ერთი სიტყვით, როგორი რთველი გვექნება წელს, წინასწარ ამის თქმა და განსაზღვრა შეუძლებელია და თუ ისევ ქვეყნის მთავრობა არ დაეხმარა მოსახლეობას ყურძნის მოსავლის რეალიზაციის საქმეში, ძალზე რთული პრობლემები შეექმნებათ მევენახეებს, რომელთა ერთადერთ იმედსა და შემოსავლის წყაროს ყურძნის მოსავალი შეადგენს.

ვეთანხმები მევენახეთა იმ საერთო მოსაზრებას, რომ ყურძენზე ჩასაბარებელი ფასები ამ წლამდე დაბალი იყო და ეს საკითხი სათანადო ორგანოების მხრიდან გადასახედი და დასარეგულირებელია..

ჩაიწერა

გივი დაგახიშვილმა

ინფრასტრუქტურა-2021

სოფელ მარიამჯვარში

გაგრძელება

ა.ა.ი.პ. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის“ ტექნიკური ჯგუფის მიერ სასმელი წყლის სათავენაგებობიდან სოფლის მიმართულებით, ამორტიზირებული 500 მ საკომუნიკაციო მილის ამოცვლითი სამუშაოები განახორციელა.

სამუშაოების დასრულების შედეგად, 28 ივნისიდან სოფლის მოსახლეობას წყალი შეუფერხებლად მიეწოდება.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

№13(243) 2021 წელი, 1-15 ივლისი

ინფრასტრუქტურა-2021

გაგრძელება

სოფ. თოხლიაურში მიმდინარეობს სკვერის მოწყობის სამუშაოები. პროექტი ხორციელდება პროგრამით ,,სოფლის მხარდაჭერა“.

პროექტის ღირებულებაა 10000 ლარი

სოფ. ნინოწმინდაში გზის მიმდებარე ცხაურების მოწყობის სამუშაოები. პროექტი ხორციელდება პროგრამით ,,სოფლის მხარდაჭერა“.

პროექტის ღირებულებაა 16000 ლარი

სოფლებში ანთოკსა და მარიამჯვარში (გაერთიანებული) ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები. პროექტი ხორციელდება პროგრამით ,,სოფლის მხარდაჭერა“.

პროექტის ღირებულებაა 20000 ლარი

სოფ. დიდ ჩაილურში მიმდინარეობს გარე განათების მოწყობის სამუშაოები. პროექტი ხორციელდება პროგრამით ,,სოფლის მხარდაჭერა“.

პროექტის ღირებულებაა 16000 ლარი

ყანდაურის თემის სოფელ ქვემო ყანდაურაში გარე განათების სამუშაოები დასრულდა.

პროექტის ღირებულებაა 16000 ლარი

საგარეჯოს თოჯინების სახალხო თეატრი 65 წლისაა

თოჯინების თეატრის ხელმძღვანელი, თოჯინების დედა – მარინა შიოშვილი:

„მე ჩემი თოჯინები უსასყიდლოდ მაქვს გაკეთებული ჩემი რაიონისათვის“

„თოჯინების თეატრი – თეატრის სახეობა, რომელშიც თოჯინები მოქმედებენ. თოჯინას ამოქმედებს მაყურებლისათვის უხილავი მსახიობი“ – *ვკითხულობთ „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“.*

რობორც *ისტორია მოგვითხრობს: „თოჯინების თეატრი საწყისს შორეული წარსულიდან იღებს, როდესაც ადამიანები აკეთებდნენ ღმერთების, ეშმაკებისა თუ სხვა არსებების გამოსახულებებს. უფრო სწორად, მათთან მიმსგავსებულ თოჯინებს (ძვლის, ქვის, თიხისა თუ ხისგან), ამოძრავებდნენ, ალაპარაკებდნენ, აცეკვებდნენ, დაატარებდნენ ტახტ ევანით, შესთხოვდნენ რაიმე მნიშვნელოვანს, მაგალითად ქართველები თოჯინებს ხან გამრავლებას, ხან ბუნების ძალთა გამგებელ „ღვთაებათა“ გულის მონადირებას, ხან დარს, ხანაც წვიმის მოსვლას შესთხოვდნენ. ასეთი სცენები თანდათან ემსგავსებოდა თეატრალურ წარმოდგენებს, რომლებიც წარმოსახავდნენ ლეგენდებს ღმერთებზე, დემონებზე, მითიურ გმირებზე“*

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ძველ ეგვიპტეში ძვ. წ. აღ-ით XVI საუკუნეში თოჯინების თეატრში წარმოადგენდნენ მისტერიას ოსირისსა და ისიდაზე. თეატრალური თოჯინები მოხსენებულია ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, არისტოტელეს, ჰორაციუსის, მარკუს ავრელიუსის და სხვათა თხზულებებში. თოჯინების თეატრის უძველესი ტრადიცია აქვთ აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხებს. ძვ. წ. აღ-ის I საუკუნეში თოჯინების თეატრი აღმოცენდა ჩინეთში, იაპონიაში ის XI საუკუნიდანაა ცნობილი. ევროპაში თოჯინების თეატრის წარმოდგენები იმართებოდა ეკლესიებსა და მონასტრებში ბიბლიურ სიუჟეტებზე. მათი მთავარი პერსონაჟი იყო წმინდა მარიამი. აქედან მოდის რომანულ-გერმანულ ენებში თოჯინის აღმნიშვნელი სიტყვა „მარიონეტი“. თანდათან რეპერტუარში შეიჭრა „მიწიური თემატიკა“. შემდეგში კი XIV საუკუნეში იტალიაში, XVII საუკუნეში საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, ჩეხეთში, XIX საუკუნეში რუსეთში. თოჯინების თეატრისათვის წერდნენ პიესებს. XX საუკუნის I ნახევარში შეიქმნა პროფესიული თოჯინების თეატრი ბავშვებისა და მოზარდებისათვის.

არც საქართველოსთვის იყო უცხო თოჯინების თეატრი. ჯერ კიდევ წარმართულიდან მომდინარეობდა სანახაობები. VII საუკუნიდან რელიგიურ მისტერიული ხასიათის თოჯინების თეატრების წარმოდგენები იძენდნენ საერო შინაარსს. XIX საუკუნის II ნახევარში ცნობილი იყო თოჯინების თეატრი ე.წ. „დედოფლების კარავი“. როგორც ისტორიული ცნობებიდან ჩანს, საქართველოში პირველი მეთოჯინეები ლ. და ნ. ტორაძეები და დ. ჭითანავა იყო.

რაც შეეხება საქართველოში პირველი პროფესიული თოჯინების თეატრის დაარსებას, იგი უკავშირდება გიორგი მიქელაძის სახელს. იგი კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მთავარი ადმინისტრატორი იყო. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი 1933 წელს დაარსდა. შენობის განჯინაში მან შემთხვევით იპოვა თოჯინები, რომელთა „წარმომავლობა“ ვერაფრით ახსნეს. მას შემდეგ აღარ ასვენებდა ფიქრი თოჯინების თეატრის დაარსებაზე. და აი, საქართველოში, თბილისში დაარსდა თოჯინების პირველი პროფესიული სახელმწიფო თეატრი 1934 წელს, რომლის ჩამოყალიბების თაოსანიც, ისევ და ისევ გიორგი მიქელაძე იყო. მასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ: მ. სარაული, ქ. ჯუღელი, ნ. მახარაძე, დასის პირველი წევრები იყვნენ მსახიობები: ე. სიბილა, გ. ლომაია, ე. ბარბაქაძე, ი. ნიკოლაიშვილი. 1934 წლის 26 მაისს წარმოადგინეს პირველი სპექტაკლი ს. ფედორჩენკოს „ჭუჭრუტანაში გავძვრები, ჩემსას კი მაინც გავხდები“. სწორედ 26 მაისს აღინიშნება პროფესიული თოჯინების თეატრის დღე.

არც ის იქნება ინტერესმოკლებული, თუ ვიტყვით, რომ თოჯინების თეატრი პეტერბურგში 1919 წელს დააარსდა, მოსკოვში – 1931 წელს – ობრაზცოვის სახელობის, 1935 წელს რუსთავში, 1936 წელს ბათუმში, 1946 წელს ქუთაისში.

საგარეჯოში კი თოჯინების თეატრი 1956 წელს დააარსდა. მის დაარსებაში დიდი წვლილი მიუძღვის საგარეჯოს თეატრის მაშინდელ დირექტორს ქიტა ბუზიაშვილს და საგარეჯოს თეატრის დასს. ამასთან, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით: ნელი ნავასარდოვას, ცეზარ ფხალაძეს, , ვალენტინა კერატიშვილს, ჟუჟუნა ოდიკაძეს, ეთერ თედიაშვილს, ნანული ბილანიშვილს, შოთა ბაზერაშვილს, ნაირა ელმეთაშვილს, ჯორჯი მამისაშვილს, ჯიმშერ ძაბილაშვილს, ქიტა ბუზიაშვილის გოგონებს – დალის და ეკას, რომლებიც ხელს აშველებდნენ თოჯინების თეატრს და კიდეც თამაშობდნენ თოჯინების როლებს. ამ წერილის ავტორიც და ჩემი თაობაც სწორედ მათ მიერ მომზადებულ და დადგმულ საბავშვო სპექტაკლებს ვესწრებოდით და თოჯინებით აღფრთოვანებული ვიყავით, მაგრამ იმდენად „სულიერად“ მიგვაჩნდა პერსონაჟები, რომ სულაც არ გვაინტერესებდა თეჯირს იქით ვინ იდგა... გასული საუკუნის 80-იან წლებში საგარეჯოს თოჯინების თეატრში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების, საგარეჯოს თეატრის დასის და თოჯინების თეატრის მსახიობი ნანული ბილანიშვილი – მისი მოსწავლეები თოჯინების თეატრის სცენაზე საბავშვო პიესებს წარმოადგენდნენ.

შემდეგ კი, 90-იანი წლების დასაწყისიდან თოჯინების თეატრმა ფუნქციონირება შეწყვიტა.

მხოლოდ 1995 წლიდან მოხერხდა თოჯინების თეატრისათვის ფუნქციის დაბრუნება, მისი მაჯისცემისათვის სასურველი იმპულსის მიცემა. თუ როგორ მოხერხდა ნულიდან დღემდე თეატრის მოყვანა და როგორ შეხვდა საგარეჯოს თოჯინების თეატრი დაარსებიდან 65-ე წლისთავს, გვესაუბრება თოჯინების თეატრის ხელმძღვანელი, მეთოჯინე სპულპტორი, მხატვარი, ქორეოგრაფი, ლოტბარი, კომპოზიტორი ქ-ნი <u>*მარინა შიოშვილი*</u>.

ცნობისათვის: *ქალბატონმა მარინამ ჯერ კიდევ ნინოწმინდის რვაწლიან სკოლაში სწავლისას „შეისუნთქა“ სცენის მტვერი, არ ყოფილა ღონისძიება, რომელშიც მას მონაწილეობა არ მიეღო, იყო რაიონული მასშტაბის სკოლების ღონისძიებები... შემდეგ იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი – რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სპეციალობით. 1979 წელს მშობლიურ ნინოწმინდის სკოლას დაუბრუნდა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, სადაც 5 წელი იმუშავა.*

შემდეგ საგარეჯოს პროფესიულ სასწავლებელში და საგარეჯოს ბიზნესის ინსტიტუტში ლექციების წაკითხვა, აქაც აქტიურად იღებდა მონაწილეობას და იყო სულისჩამდგმელი უამრავი საინტერესო ღონისძიების. სწორედ აქ „დაინახა“ სხვანაირი თვალით, საგარეჯოს თეატრის სცენისთვის, საგარეჯოს კულტურის სფეროში თავისი წვლილის შესატანად საგარეჯოს თეატრის დირექტორმა თინათინ მეზვრიშვილმა და 1994 წლის დეკემბრის ბოლოს – საახალწლო სამზადისში მონაწილეობა სთხოვა. ასე დაიწყო მისი შრომითი ბიოგრაფიის ათვლა 1994 წლის 30 დეკემბრიდან საგარეჯოს კულტურის განყოფილებაში.

– ქ-ნო მარინა, რატომ გადაწყვიტეთ პედაგოგიური მოღვაწეობის თავის დანებება და ახალი შრომითი ბიოგრაფიის ახლიდან დაწყება?

– რატომ?! იცით, ბავშვობიდანვე მოვდიოდი აქეთ. ცხოვრებამ მატარა, მოვსინჯე ჩემი ძალები და ბავშვობის ოცნება ცოტა გვიან, მაგრამ მაინც ავიხდინე – საჭირო დროს საჭირო ადგილზე მოვხვდი, ისეთ გარემოში, რომლისკენაც ბავშვობიდან მოვილტვოდი. როცა თინათინ მეზვრიშვილი ჩვენს ღონისძიებაზე დასწრებისას შემეკითხა: – არ გინდა ჩვენთან მოხვიდე?! როგორ არ მინდოდა, მე ხომ ბავშვობიდან ვცეკვავდი, ვმღეროდი, მხატვრულად ვკითხულობდი ლექსებს, ვქსოვდი, ვკერავდი, აი, რა იყო ჩემი სავიზიტო ბარათი.

– როგორ „გაიცანით“ თოჯინების თეატრის ბინადრები?

– 1995 წლის იანვარში უნდა გაგვეცნო ერთმანეთი, მაგრამ აქ თოჯინები აღარ იყო. ბნელი, უშუქო 90-იანი წლების დასაწყისიდან ბავშვებს აღარაფერი ჰქონდათ გასართობი და თოჯინების თეატრის თოჯინები ახლო-მახლო მცხოვრებმა ბავშვებმა ერთ სადამოს უბანში გაიტანეს. თეატრის იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ მკაცრად დასჯა გადაწყვიტა პატარა „ქურდების“ და მათაც შეშინებულებმა თოჯინები თეატრის სხვენზე დაყარეს... იქ უკვე განადგურდა, რადგან არავინ არაფერი უწყოდა. ძველი თოჯინებიდან მხოლოდ გვყავს „კატო“, „დევი“, „დევის თხა“, „დარეჯანი“, – ერთს, მოხუც ქალს პირობითად „ბაბალე“ დავარქვით, არ ვიცით, რა როლს თამაშობდა ის.

ასე, რომ საგარეჯოს თოჯინების თეატრის „ბიოგრაფია“ პირობითად, ორ ეტაპად შეიძლება დავყოთ: 1956-1991 და 1995-იდან დღემდე, თუმცა იყო 1994 წლიდან კვლავ „ჩავარდნა“ ოთხი წლით.

– შემდეგ, შემდეგ, როგორ გაგრძელდა თეატრის ცხოვრება?

– შემდეგ ის იყო, რომ შემოვიკრიბეთ ადამიანები, რომლებიც დიდი გულშემატკივრები გახდნენ, რომლებმაც საკუთარი ხელებით შეძლეს თითქმის ნულიდან დაწყება. აქ თოჯინებთან ერთად აღარ იყო დეკორაციები. ახლაც მხოლოდ ერთი ხე შემოგვრჩა „უხუცესი“ , რომელიც ჩვენ თვითონვე აღვადგინეთ, ესეც სიმბოლურია, რომ ხე გადარჩა დროის „ქარტეხილებს“. თოჯინების შეკერვაში და მათთვის „სულის შთაბერვაში“ მთლიანად ჩაერთო მ. ჭიაურელის სახელობის თეატრის დასი... არ შემიძლია არ ვთქვა ის, რომ ამაში დიდი წვლილი შეიტანეს აწ განსვენებულმა სოსო ვარდიაშვილმა, ეკა ირემაშვილმა, თინათინ მეზვრიშვილმა, ხათუნა შაქარაშვილმა, ივერი ჭიაურელმა, ნაირა ელმეთაშვილმა, ბადრი დრეიძემ, ფატი ღვინიაშვილმა, ვასიკო წიგნაძემ, ცირა შიოშვილმა, პაატა ქვლივიძემ, ირაკლი ლიპარტელიანმა...

ეკა ირემაშვილი ნიჭიერ მსახიობობასთან ერთად საკმაოდ ხელმარჯვე იყო თოჯინების ტანსაცმლის შეკერვაში , დეკორაციების მომზადებაში, თუმცა, მოდით, დანარჩებსაც ნუ დავუკარგავთ გაწეულ ამაგს. უბრალოდ, გულდასაწყვეტია, რომ ეკამ და ხათუნამ მალე მიატოვეს მსახიობობა და, უფრო სწორად, კი, დაფინანსება შეგვიწყდა, მთელი 4 წელიწადი ჩვენ უხელფასოდ დავდიოდით სამსახურში. ის 4 წელი „გამოვიყენეთ“, შევქმენით თოჯინები, მოვაწესრიგეთ დეკორაციები.

წარმოიდგინეთ, თოჯინების თეატრი 4 წელი არ ფუნქციონირებდა, მაგრამ ჩვენ მონაწილეობას ვიღებდით თოჯინების თეატრების ფესტივალებში: 1996, 1998, 1999, 2001, 2008, 2014, 2016 წლებში და იცით რატომ?

– რატომ?

– იმიტომ, რომ ფესტივალებში მონაწილეობა ნიშნავს – აგრძელებ სიცოცხლეს, რომ წარმოაჩენ შენს ძალებს, რომ ეცნობი სხვა თეატრის მუშაობას, ადარებ შენსას და თუ რაიმე მოგწონს, შენი თეატრის სასიკეთოდ გამოიყენებ. ამასთან, ხვდება საზოგადოება, რომ თოჯინების თეატრების ფესტივალზე მიღებული ჯილდო, წახალისება, მადლობა ნიშნავს სიცოცხლისუნარიანობა დაუბრუნო მას, მიხვდე, რომ ის საჭირო და აუცილებელია ბავშვებისათვის. მით უმეტეს, დღეს ბავშვებს ბავშვობას ვართმევთ – სოციალურმა ქსელებმა ბავშვი თავის ბავშვურ სამყაროს დააშორა. არადა, თოჯინების თეატრის სპექტაკლები აღმზრდელობითი ხასიათისაა, ბავშვზე ესთეტიკური გემოვნების განვითარებისთვისაა, ხომ?! ხოდა, ჩვენი თოჯინების თეატრსაც მიზნად ესა აქვს დასახული, თანაც ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა დავხვეწოთ ყველაფერი და დღევანდელი მოთხოვნის დონეზე დავაყენოთ. არ გეგონოთ, ადვილი იყოს, თოჯინის როლის შესრულება მსახიობისაგან. თოჯინა უფრო რთული მსახიობია. მეთოჯინემ უნდა შეძლოს ითამაშოს და ათამაშოს თოჯინა. მან თეჯირის მიღმიდან უნდა შეძლოს ყველაზე პრეტენზიული მაყურებლის დაინტერესება.

– წლების განმავლობაში თოჯინების თეატრს ახალ-ახალი მსახიობებიც შემოემატნენ და უფრო მეტი სიხალისე და სიახლე შემოიტანეს...

– კი, რა თქმა უნდა. კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ და ჩემი შვილი ირაკლი ლიპარტელიანი 10 წლის ასაკიდან ჩვენი „თანამშრომელია“. არ დადგმულა არც ერთი სპექტაკლი ამ სცენაზე (ორივე თეატრის მიერ), რომ ირაკლი „დამხმარე ძალა“ არ ყოფილიყო, პირველად მაგნიტოფონის ჩართვა-გამორთვა „ევალებოდა“, შემდეგ კი უკვე გაბედულად დადგა სცენაზე, პაატა ქვლივიძე... ერთ დროს ჩვენთან საბავშვო თეატრიც ფუნქციონირებდა, საიდანაც მოვიდა პაატაც. აქ, ჩვენთან იყო გიორგი ქვლივიძეც. საბავშვო თეატრი დიდი, კაშკაშა წერტილი იყო 90-იანი წლების ბავშვებისათვის.

– როგორია მაყურებლის ემოციები სპექტაკლის პერსონაჟებზე?

– ბავშვური, ისეთივე, როგორიც უნდა იყოს მათი ასაკის შესაფერისად. აინტერესებთ ყველაფერი, გულმოდგინედ, გაფაციცებული თვალებით ადევნებენ თვალს ზღაპრის გმირებს, აშკარად სიყვარულს გამოხატავენ დადებითი პერსონაჟების მიმართ, უკმაყოფილებას უარყოფითისადმი. ეს ბუნებრივია, მათ ხომ უნდა ისწავლონ კარგის და ცუდის გარჩევა?! ერთხელ, 1999 წელს გავაკეთეთ სპექტაკლი „ზღაპრების სოფელი“, გავფინეთ ხალიჩები, რადგან სკამები მაყურებლისთვის აღარ გვქონდა. ეს იყო გამოსამშიდობებელი სპექტაკლიც, თოჯინები ემშვიდობებოდნენ ბავშვებს, რადგან იმ დღიდან 4 წელი თოჯინების თეატრი უფუნქციოდ იყო... უნდა გენახათ ბავშვების ემოცია... სწორედ ამან გვიბიძგა – ის ოთხი წელი უხელფასოდ გვევლო თეატრში და შეგვექმნა ახალი თოჯინები, გვემუშავა სპექტაკლებზე. ტკბილ-მწარედ გასახსენებელია – მაშინ, 1999 წელს ჩვენმა თოჯინების თეატრმა სახალხო თეატრის წოდება მიიღო. წარმოდგენილი გვქონდა ორი სპექტაკლი „ტყის კომედია“ და

დასასრული მე-8 გვერდზე

სპორტი

ფეხბურთი _ მეორე ლიგა

„ბარეჯი – 1960“ კლეი-ოფიდან ორ ნაბიჯში

13 ივნისს, როგორც უკვე ვწერდით „გარეჯი-1960“-ს მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა ჰქონდა მარტვილში გათამაშების ცხრილში უშუალო „მეზობელთან“ ადგილობრივ “მერანთან“, რაზედაც ბევრი რამ იყო დამოკიდებული.

შეხვედრა ჩვენი ფეხბურთელებისათვის მაინცდამაინც კარგად ვერ დაიწყო. მასპინძლებმა უკვე მე-12 წუთზე გახსნეს ანგარიში – გოლი ზვიად ქანთარიამ გაიტანა.

პირველ ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა, 1:0 დაწინაურებულები გავიდნენ შესვენებაზე მეტოქეები.

მეორე ტაიმის 66-ე წუთზე გარეჯელებმა ზედიზედ 3 ცვლილება განახორციელეს და 75-ე წუთზე შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. გოლი გიორგი ხარებაშვილის გადაცემით გიორგი ტყეშელაშვილმა გაიტანა.

მოვლენების ასეთი განვითარება მასპინძლებს ხელს ნამდვილად არ აძლევდათ და შეხვედრის მიწურულს შეძლეს გამარჯვების გოლის გატანა, ხოლო დამატებულ წუთებში კიდევ ერთი გოლი მიითვალეს. 3:1 – ასე დამთავრდა ეს მატჩი

18 ივნისს საგარეჯოს სტადიონზე მორიგი მატჩი გაიმართა. გარეჯელებმა საჩხერის „ჩიხურა“ მიიღეს და 2:0 დაამარცხეს მეტოქე.

პირველი ტაიმი მეტოქეებმა უგოლოდ დაასრულეს. მეორე ტაიმის დასაწყისშივე გარეჯელებმა მატჩი სათავისოდ შემოატრიალეს. შეხვედრის 48-ე წუთზე ბესიკ ჩიმაკაძის პასით ნიკოლოზ ხინთიბიძემ დალაშქრა „ჩიხურას“ კარი, ხოლო 5 წუთის შემდეგ უკვე ხინთიბიძის პასით გაიტანა გოლი ბესიკ ჩიმაკაძემ.

ამის შემდეგ ანგარიშში ცვლილება აღარ მომხდარა.

23 ივნისს კი „გარეჯი-1960“-ს ურთულესი მატჩი ჰქონდა გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერ „გაგრასთან“, რომლის გალიდერებაში სწორედ გარეჯელებს მიუძღვით ლომის წილი – მათ საკუთარ მოედანზე დაამარცხეს იმდროისათვის უძლიერესად მიჩნეული ბოლნისის „სიონი“, რამაც „გაგრას“ მისცა შესაძლებლობა დასწეოდა და გადაესწრო სიონისათვის. ბუნებრივია „გაგრელებმა“ იცოდნენ, რამდენად სახიფათო მეტოქესთან ჰქონდა საქმე და საგულდაგულოდ მოემზადნენ. მაგრამ გარეჯელებიც საბრძოლველად იყვნენ განწყობილი და შესვენებამდე კარი მშრალად შეინახეს. 0:0 – ასე დამთავრდა პირველი ტაიმი.

მეორე ტაიმი კი გარეჯელთათვის უიღბლოდ წარიმართა. უკვე მატჩის 46-ე წუთზე მიიღეს გოლი საკუთარ კარში და თუმცა ბევრს ეცადნენ, ვერ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. მატჩის მიწურულს კი, როცა მთელი ძალებით შეტევაზე გადავიდნენ, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, დაცვა დასუსტდა და მეტოქემ ისარგებლა ამით, ჯერ 84 წუთზე გაიტანეს მეორე გოლი, ხოლო დამატებულ წუთზე მესამე გოლიც მიითვალეს. 3:0 ასე დამთავრდა ეს მატჩი.

30 ივნისს კი გარეჯელები თბილისში ადგილობრივ „მერანს“ ესტუმრნენ და დაძაბულ ბრძოლაში 2:1 დაამარცხეს მასპინძლები.

ანგარიში 26-ე წუთზე ბესიკ ჩიმაკაძის გადაცემით ბიჭიკო გედენიძემ გახსნა. ეს ანგარში შენარჩუნდა 86-ე წუთამდე, როცა მერანელმა გიორგი ცეცხლაძემ შეძლო ანგარიშის გათანაბრება. თთქოს შეხვედრა ასეც უნდა დასრულებულიყო, მაგრამ სხვანაირად ფიქრობდნენ გარეჯელები. მათ სულ რაღაც ორ წუთში შეძლეს კიდევ ერთი გოლის გატანა და გამარჯვება, რითაც კიდევ სამი ქულა ჩაიწერეს სატურნირო ცხრილში.

5 ივლისს კი საქართველოს ჩემპიონატის მეორე ლიგაში ერთთვიანი საზაფხულო არდადეგები გამოცხადდა. ამ შესვენებამდე კი „გარეჯი-1960“-მა წლევანდელი გათამაშების პირველი ნახევრის ბოლო მატჩში გათამაშების ერთ-ერთი აუტსაიდერი რუსთავის „რუსთავი“ მიიღო და როგორც მოსალოდნელი იყო დიდი ანგარიშით – 3:0 დაამარცხა იგი. სამივე გოლი მე-20, 29-ე და 50-ე წუთებზე გიორგი ხარებაშვილმა გაიტანა. ეს გარეჯელი ფეხბურთელის უკვე მეორე ჰეთ-თრიკია მიმდინარე სეზონში.

ამავე ტურში გარეჯელთა უშუალო კონკურენტმა მარტვილის „მერანმა“ საკუთარ მოედანზე თბილისის „მერანი“ მიიღო და მოულოდნელად დამარცხდა ანგარიშით 1:3. ამან „გარეჯი-1960“-ს საშუალება მისცა 2 ქულამდე შეემცირებინა ჩამორჩენა და ისევ მიახლოებოდა საპლეიოფო ზონას.

ამჟამად 20 თამაშიდან 32 ქულით „გარეჯი“ მე-4 ადგილზეა და როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2 ქულით ჩამორჩება მესამეადგილოსან მარტვილის მერანს და საპლეიოფო ზონას. გათამაშებას კი ორი ლიდერი ჰყავს – „გაგრა“ და ბოლნისის „სიონი“, რომელთაც 46-46 ქულა აქვთ. მარტვილის მერანი 34 ქულით მესამე ადგილს იკავებს. გარეჯის შესახებ უკვე მოგახსენეთ, – იგი მე-4 ადგილზეა და 5 ქულით უსწრებს მეხუთე ადგილზე მყოფ თბილისის „მერანს“.

ჩემპიონატი 6 აგვისტოს განახლდება, როცა გარეჯი სტუმრად ითამაშებს ზუგდიდის „დინამოსთან“, 13 აგვისტოს კი საკუთარ მოედანზე მიიღებს „შევარდენი 1906“-ს.

ზურაბ აგულაშვილი

„სკანდალური“ ისტორიის საჭიდაო დარბაზის ფალავნები

თუ გვეყოლება ახალი მსოფლიო ჩემპიონები?!

ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა სავარჯიშო დარბაზის, რომელიც დაცვის პოლიციას ეკუთვნის და იმავე შენობაშია, მეტად საინტერსო ისტორია აქვს.

მას საფუძველი გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩაეყარა, როცა აქ არსებული საკუთრების დაცვის პოლიციას საგარეჯოს ერთ-ერთი კოლორიტი პიროვნება, მოჭიდავე, მომღერალი, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი მიხეილ არჩვაძე ედგა სათავეში. სხვა სასიკეთო საქმეებთან ერთად, ბ-ნი მიხეილი დღენიადაგ იღვწოდა და შრომობდა, რომ მათი განყოფილება ქვეყანაში მოწინავეთა შორის ყოფილიყო, რასაც მუდამ ახერხებდა. ამავე მიზნით გადაწყვიტა, ადმინისტრაციულ შენობაში აეშენებინათ სპორტული დარბაზი თანამშრომლების ფიზიკური მომზადებისათვის. და სულ მოკლე დროში ჩანაფიქრს ხორციც შეესხა – მწყობრში ჩადგა იმდროინდელი სტანდარტების დონეზე გადაწყვეტილი კრივის დარბაზი, სათანადო რინგით, სავარჯიშო მოწყობილობითა თუ სხვა ნაგებობებით.

თავის დროზე, სპორტზე შეყვარებულ და გატაცებულ კაცს, მავანთ და მავანთ ეს „გადაცდომად“, საკუთარი მიზნებისათვის გამოყენებად ჩაუთვალეს და სკანდალიც აუგორეს, რაზედაც გულდაწყვეტილს ხშირად უთქვამს საუბარში, „აი, მე წავალ და ეს შენობა აქ დარჩება“ და „თან არ გავიყოლებო“ ახლა აღარ მახსენდება, რას იძახდნენ ჭორაობის მოყვარულნი „თვალთხევზე“ მისი ინიციატივით მოწყობილ „სიყვარულის ხიდზე“, თუმცა ფაქტია, რომ ამ ქვეყნიდან უდროოდ წასულს, არც ერთი და არც მეორე უკან მართლაც არ გაუყოლებია და ვერც გაიყოლიებდა. ეს ორივე ჩვენ, საგარეჯოელებს და მომავალ თაობებს დარჩათ. დროთა ვითარებაში საქმე ისე აეწყო, რომ ამ დარბაზში კრივი სულ მივიწყეს და მოიშალა, დარბაზი კი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა წრის აღსაზრდელებს დარჩათ, რომელთაც, დღიდან დაარსებისა, უნარიანად ხელმძღვანელობს მწვრთნელი **რამაზ ასაბაშვილი** და იმ დროიდან მოყოლებული არაერთი სახელოვანი თავისუფალი სტილის მოჭიდავე ფალავანი აღუზარდა გარეჯულ და ქართულ სპორტს ამ დარბაზში.

2010 წლიდან რამაზ ასაბაშვილს, ფალავნების აღზრდა-დაფრთიანების საქმეში, ***მწვრთნელი* დავით ბაბუნიძეც** ამოუდგა მხარში და ერთობლივი ძალებით შეეჭიდნენ მინდობილ საქმეს. ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ გვარდებოდა მათ საქმეში არსებული ხელისშემშლელი პრობლემები. აიპ-ის ხელმძღვანელობისა და სხვა კეთილისმყოფელი ადამიანების დახმარებით აამოქმედეს საშხაპეები, მოაწყვეს გათბობა და სხვა.

ამ მწვრთნელების მეტ-ნაკლები დამსახურებით ამ სკანდალური ისტორიის დარბაზის ჭერქვეშ სხვადასხვა დროს დაფრთიანდნენ ***ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, დიდების ასაკში ამავე ასპარეზობების პრიზიორი, ოლიმპიური თამაშების მონაწილე დავით ხუციშვილი, საქართველოს მრავალგზის და 23 წლიანებში ევროპის ჩემპიონი ზურა ერბოწონაშვილი, ევროპის პრიზიორი ვასილ მამულაშვილი, ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი და სხვადასხვა ტურნირების გამარჯვებული ბექა პეტრიაშვილი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე ბექა როჭიკაშვილი, საქართველოს ჩემპიონი გიორგი პასიკაშვილი, ლევან როჭიკაშვილი და სხვები...***

მომდევნო, ახლანდელი პერიოდის მოჭიდავეებიდან უდავოდ უნდა აღინიშნოს რამაზ ასაბაშვილის ვაჟების ***ომარის და თორნიკეს*** წარმატებები. მართალია, პირველმა მიატოვა საჭიდაო ლეიბი, მაგრამ თორნიკე წარმატებით განაგრძობს გზას უმაღლესი შედეგების მისაღწევად. მიუხედავად პანდემიით განპირობებული შეზღუდვებისა და შეფერხებებისა, მან წარმატებით იასპარეზა ივნისის ბოლოს ყაზბეგში გამართულ მსოფლიოს შესარჩევ რესპუბლიკურ ტურნირში, სადაც დამაჯერებლად მოიპოვა ამ უმაღლესი დონის ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება. ამ ასპარეზობაში იგი 51 კგ წონით კატეგორიაში ჭიდაობდა და ფინალში დაამარცხა საკმაოდ ძლიერი გორელი მოჭიდავე, საქართველოსა და ევროპის წლევანდელი ჩემპიონი აბალაკი. პანდემიის დაწყებამდეც თორნიკე (ახლა იგი 16 წლისაა) სქოლბოისტებშიც მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა და შესაბამის ასაკში მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება, თუმცა გასაგები მიზეზების გამო ეს ასპარეზობა არ ჩატარებულა.

მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის დიდი შანსები აქვს რამაზ ასაბაშვილისა და დათო ბაბუნიძის კიდევ ერთ ნიჭიერ აღსაზრდელს, ***საქართველოს მრავალგზის ჩემპიონსა და ევროპის პრიზიორს* დავით პუჭუაშვილს,** რომელიც ამ უფლების მოსაპოვებლად ივლისის შუა რიცხვებში უნდა შეეპაექროს ოლიმპიურ ჩემპიონს დავით გობეჯიშვილს, რომელთანაც მოგების შემთხვევაში დაყენებული იქნება შემდგომ შეჯიბრებებზე. როგორც ჩვენთან საუბარში მწვრთნელმა დათო ბაბუნიძემ აღნიშნა, დ. კუჭუაშვილი, თ. ასაბაშვილი და კიდევ ერთი – გიგი ქურხული – სულ სამი კაცი, კორონა ვირუსის დაწყებამდეც იყვნენ მსოფლიოზე დაყენებული, მაგრამ ვერ შეძლეს წასვლა.

ამ სამი გამორჩეული ფალავნის გარდა, თავისუფალი ჭიდაობის სექციაში სხვა მრავალი დიდი მომავლის მქონე ფალავანიც იზრდება და ფრთიანდება, რაც კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ზემოხსენებულ ყაზბეგში ჩატარებულ შესარჩევ ტურნირზე. მართალია, ჩემპიონები ვერა, მაგრამ ბრინჯაოს მედლების მფლობელები თავიანთ წონებში გახდნენ სამი გიორგი – ქვლივიძე, ქისტაური და ნიკოლაშვილი.

არა უშავს, ყველა დიდი საქმე, პატარათი იწყება. ასე დაიწყეს მათმა წინამორბედმა მოჭიდავეებმაც. წარმატებები ვუსურვოთ ჩვენს მომავალ წარმატებულ მოჭიდავეებს, თორნიკე ასაბაშვილს და დავით კუჭუაშვილს – მსოფლიო ჩემპიონატის მოგება.

ეროვნული ჩემპიონატის V ლიგაში

26 გუნდი მე-11 ადგილზე

„ბარეჯი-2“-ის ფეხბურთელები, რომლებიც ახალგაზრდული ასაკით არიან გუნდში წარმოდგენილი, კვლავ აგრძელებენ თამაშებს საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ჩემპიონატის V ლიგის აღმოსავლეთ ზონაში, სადაც შარშანდელი 13-ის ნაცვლად წელს 26 გუნდი ასპარეზობს. 24 ივნისის მდგომარეობით პატარა გარეჯელები 9 მატჩიდან დაგროვილი 15 ქულით (ოთხი მოგება, სამი ფრე და 2 წაგება მე-11 ადგილზე იმყოფებიან.

მომდევნო მატჩს „გარეჯი-2“ 25 ივნისს, თბილისში სოხუმის „დინამოსთან“ გამართავს.

გ. დაგახიშვილი

ზუგდიდის მერიის თასზე

25-27 ივნისს ქ. ზუგდიდში ჩატარდა შეჯიბრება მუნიციპალიტეტის მერიის თასზე ჭიდაობა ძიუდოში 2006-2007 წლებში დაბადებულ მოჭიდავეებს შორის. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებისა და მუნიციპალიტეტის მოჭიდავეებთან ერთად ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ ძიუდოს მწვრთნელ ***მამუკა მათიაშვილის*** აღსაზრდელებიც. მათგან 35 კგ წონით კატეგორიაში დაუმარცხებლად იასპარეზა და ჩემპიონი გახდა ***ოთარ ოდიკაძე.*** მეორე საპრიზო ადგილზე გავიდნენ ***ვახტანგ ჭიაბერაშვილი (42კგ) და გიგი ესაიაშვილი*** (81+). მესამე პრიზიორები გახდნენ ***საბა ოდიკაძე (30კგ) და ვლადიმერ მაჩურიძე (50კგ).***

გივი დაგახიშვილი

სოფელ უდაბნოში, ღია ცისქვეშ
პირველი ნაბიჯები წარმატებულია
მიზანი – მსოფლიოს აჩვენონ სილამაზე, დასახულია

***1 ივლისს** სოფელ უდაბნოს ახლადმოწყობილ მინი სტადიონზე სწორედ ღია ცის ქვეშ უდაბნოს ახალგაზრდობის ნაწილმა მოიყარა თავი. ულამაზესი გოგონები ცეკვის კოსტიუმებში გამოწყობილები კიდევ ერთხელ ამოწმებდნენ ერთმანეთის მზაობას იმ ზეიმისათვის, რომელიც მათთან ერთად სოფლის გარკვეული მოსახლეობისა და მოწვეული სტუმრებისათვის უნდა გაეზიარებინათ. ეს მართლაც ზეიმი და თანაც ერთ-ერთი ულამაზესი ზეიმი იქნებოდა თითქმის 20 წლის მანძილზე. დიახ, უდაბნოს ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმედის“ პრეზენტაცია უდიდესი საჩუქარი იყო თავად ანსამბლის წევრებისა და სოფლისათვის.*

ანსამბლის დაარსებისა და ჩამოყალიბების შესახებ კარგა ხანია ფიქრობდა საგარეჯოს კულტურის სახლის მენეჯერი, საგარეჯოს ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმედის“ სამხატვრო ხელმძღვანელი თინათინ მეზვრიშვილი. თავად ქორეოგრაფი, მსახიობი, ათეული წლებია ცეკვავს. მისი ნიჭისა და შესაძლებლობების „პრეზენტაცია“ ჯერ კიდევ საგარეჯოს პირველ საჯარო სკოლაში სწავლისას დაიწყო, 14 წლიდან კი უკვე „სერიოზულ სცენაზე“ მოუწია გამოსვლა. წლების განმავლობაში რაიონული ქორეოგრაფიული ანსამბლი „გარეჯის“ სოლისტი იყო. დღეს ვისარგებლე შემთხვევით და ქ-ნ თინათინ მეზვრიშვილს ვთხოვე, ესაუბრა მის მიერ განვლილ შემოქმედებით გზაზე, ეს საუბარი კი ერთობ მოკრძალებული თხრობით შედგა.

– 1994 წელს, როცა კულტურის სასახლის დირექტორად დავინიშნე, აღარც თეატრი მუშაობდა, აღარც თოჯინების თეატრი, აღარც ქორეოგრაფიული ანსამბლი. იმ წლებში ძალიან რთული მდგომარეობა იყო საქართველოში და რა თქმა უნდა, კულტურაშიც. თოჯინების თეატრს მარიამ (მარინა) შიოშვილმა მოკიდა ხელი, სახალხო თეატრს რეჟისორი აღარ ჰყავდა და არც არავის უნდოდა არსებული მწირი ხელფასის გამო და ისე გამოვიდა, რეჟისორობაც მე „დავიბრალე“. ორი შესანიშნავი სპექტაკლი მოვამზადე ჩემს მეგობარ მსახიობებთან (დასის წევრებთან) ერთად. ბოლოს მივხვდი, რომ ქორეოგრაფიაშიც ძალიან ცუდად იყო საქმე და როცა პირველი საახალწლო ზეიმი მოვამზადე, რაიონში მარტო უდაბნოში იყო ქორეოგრაფიული ანსამბლი ქ-ნ გულო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით და პროგრამის ძირითადი ნაწილიც მათ შემოქმედებაზე იყო აგებული. აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო უდაბნოს საშუალო სკოლის მუსიკის მასწავლებელ ქ-ნ ნათელა ჩინჩალაძის შრომა და თანადგომა.

2000 წლიდან გია კუჭუაშვილთან ერთად დავიწყე ანსამბლის მომზადება, რაც არც ისე ადვილი იყო,რადგან მოცეკვავის გაზრდას წლები სჭირდება და ასე მოთმინებით და დიდი შრომით მე და გია კუჭუაშვილმა პატარა ანსამბლი ჩამოვაყალიბეთ, რომელსაც „იმედი“ დავარქვით. მას შემდეგ „იმედის შვილობილები“ გვყავდა სოფ. ბადიაურში, სოფ. მანავში, რომელთა სოლისტები საგარეჯოს ანსამბლშიც („იმედშიც“) ცეკვავდნენ. და ანსამბლმა 5-ჯერ ზედიზედ, თურქეთის ქალაქ ბაიბურთში ფოლკლორულ ფესტივალზე, რომელიც იუნესკოს ეგიდით ტარდებოდა, მიიღო მონაწილეობა და ხუთივეჯერ გრან-პრის მფლობელი გახდა, შემდეგ ბულგარეთის ნესებრის საერთაშორისო ფესტივალზე – I ადგილი. 20 წლის მანძილზე საქართველოში ჩატარებულ თითქმის ყველა ფესტივალში აქვს მონაწილეობა მიღებული „იმედს“, სადაც ყოველთვის საკუთარი ხელწერის მქონე წარმატებული. ანსამბლი იყო. „იმედს“ მიღებული აქვს სანიმუშო საბავშვო ანსამბლის წოდება.

არტგენის ფესტივალზე, პირველი ქორეოგრაფიული ანსამბლი იყო, ვინც მონაწილეობა მიიღო, სწორედ იქიდან ცეკვა „კახური“ ანსამბლის სავიზიტო ბარათად იქნა აღიარებული.

უდაბნოს „იმედმა“ 2020 წლის თებერვალში დაიწყო მუშაობა, მარტში პანდემიის გამო ისევ გაჩერდა, შემდეგ რეგულაციებიდან გამომდინარე ეტაპობრივად აგრძელებდა და წყვეტდა მუშაობას, ასე, რომ მუშაობის ძალიან მოკლე პერიოდს ითვლის, ივლისის თვეში ანსამბლი მიწვეულია ქობულეთში, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ფოლკლორულ ფესტივალზე.

ახლა მახსენდება, რომ ანსამბლში ბიჭუნები უფრო ჭარბობდნენ ხოლმე. სულ პირველად ნინოწმინდაში მუშაობის დროს, სადაც ქორეოგრაფიული წრე იყო, გაჩნდა ანსამბლის შექმნის იდეა. ერთი პირველი კლასიდან, რომლის ჩამომყალიბებელი ქ-ნი ნათელა კოჭლამაზაშვილი იყო. 12 ბიჭუნა მოვიდა, სულ ერთნაირი აღნაგობისანი, ლამაზები, საყვარლები, ქ-ნმა ნათელამ. ბავშვებს რეკომენდაცია-დავალება მისცა, რომ უკლებლივ ყველას უნდა ესწავლა ცეკვა. და ასე შეიქმნა პირველი ანსამბლი.

აქ, უდაბნოს „იმედში“ ჯერჯერობით გოგონები გვყავს, მხოლოდ ორმა ბიჭმა გამოთქვა ცეკვის შესწავლის სურვილი. ვიმედოვნებ, სექტემბრიდან ბიჭებიც შემოგვემატებიან.

ქალბატონი თინათინის ჩანაფიქრის ხორცშესხმა გასული წლის თებერვალში დაიწყო სოფელ უდაბნოს ჰყავს ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „კასლეთილა“ (ხელმძღვანელი ფიქრია მარგიანი). სკოლაში ერთი თვალის გადავლებით შეიძლებოდა მომავალი მოცეკვავეების შერჩევა ქ-ნმა თინათინმა გადაწყვიტა თავის აღზრდილ ანსამბლ „იმედში“ ფეხადგმულ და მოცეკვავედ ჩამოყალიბებულ გიორგი ჭეშურაშვილთან ერთად მიეღო ცეკვის ხელოვნების შესწავლის მოყვარულები. და ის იყო პირველი ნაბიჯები გადაიდგა და პანდემიაც დაიწყო. დროებით შეჩერდა მეცადინეობები.

***ცნობისათვის: გიორგი ჭეშურაშვილმა, როგორც მოცეკვავემ მანავის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმედში“ აიდგა ფეხი. 5 წლისა უკვე ცეკვავდა და აღფრთოვანებაში მოჰყავდა ოჯახის წევრები, ნაცნობ-უცნობები, თუმცა, ქორეოგრაფიული ანსამბლი მისთვის მართლაც დიდი სკოლა იყო. შემდეგ, 2005 წლიდან, 7 წლის ასაკში საგარეჯოს ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმედში“ გადმოვიდა. ამჟამად მეორე კურსის სტუდენტია საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის უნივერსიტეტის ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფიის სპეციალობით, თუმცა, პირველად სწავლა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტზე დაიწყო, მაგრამ, ბოლოს მიხვდა – ქორეოგრაფიაში უფრო მეტს გააკეთებდა და სწავლა სასურველ ფაკულტეტზე გადაიტანა.*

როცა გიორგის სოფელ უდაბნოში ქორეოგრაფიული ანსამბლის შექმნაში მონაწილეობის მიღებისა და მათთან მუშაობის მიზანი ეკითხე, ალალად მიპასუხა:

– სოფელი მოწყვეტილია რაიონულ ცენტრს. აქ აღარ არის ქორეოგრაფიული წრე, თუმცა აქ რამდენიმე წლის წინ ფუნქციონირებდა **ნათია საბაშვილის** ხელმძღვანელობით. ისიც ვიცით, რომ ძირითადი მოსახლეობა აქ სვანები არიან, მათ კი საოცარი ნიჭი აქვთ ცეკვის და სიმღერის. თანაც, მეც ჩემი ძალების გამოცდა მინდოდა. მართალია ესენი სკოლის ასაკისები არიან, თითმის ყველა ასაკის, მაგრამ ჩვენ გვინდა დიდ ასპარეზზე გავიყვანოთ ისინი. ამის იმედი კი გვაქვს, ბავშვები ნიჭიერები და მონდომებულები არიან. ეს დაგვიმტკიცეს კიდეც სულ ორიოდე დღის წინ, 29 ივნისს, ქალაქ თბილისში გამართულ ფესტივალში – „საქართველოს მარგალიტები“ წარმატებით მიიღეს მონაწილეობა. სწორედ ამ წარმატებისათვის ანსამბლის პირველი ხარისხის მედლით და ლაურეატის წოდებით დაუბრუნდნენ მშობლიურ სკოლას, ოჯახის წევრებს.

და აი, დღეს უკვე წარმატებულებმა ღია ცის ქვეშ წარმოადგინეს თავიანთი შესაძლებლობები.

სიმართლე ითქვას, ძალიან, ძალიან ლამაზები იყვნენ იმ დღეს, ივლისის მცხუნვარე მზითა და უდაბნოს ნიავით გაბრწყინებულები. თავი არავის დაუზოგავს, დიდიც და პატარაც ერთნაირი მონდომებით, სიხარულით და რაც მთავარია, სიამოვნებით ასრულებდა ცეკვებს: „რაჭული“ და „ქალთა მთიულური“. ისეთი მონდომებით ცეკვავდა ანსამბლის ციცქნა 4 წლის ქრისტინე გულბანი, მეთორმეტეკლასელ ანა გირგვლიანსაც არ უდებდა ტოლს.

მათ საყურებლად აქ პატარები, საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, ამავე ბაღის მენეჯერი ნელი კორძაია, სოფლის დეპუტატი მუნიციპალიტეტის საკრებულოში ლექსო იოსელიანი, მშობლები, ბებიები, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი სოფელ უდაბნოში ერეკლე გვიდანი, თანაშემწე მანანა ხაჭვანი, ჭიდაობის წრის ხელმძღვანელი ლაშა ფირცხელანი, სოფლის ახალგაზრდობა მოსულიყვნენ. თავი არ შეურცხვენიათ, ერთი ლამაზი დღე ჩაიწერა სოფელ უდაბნოს მატიანეში. ეს დღე მიულოცა და და მუნიციპალიტეტის მერიის სახელით მადლობის ფურცელი გადასცა ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელსა და და ქორეოგრაფს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ლექსო ბილაშვილმა, ასევე წარმატებული დასაწყისი მიულოცა ანსამბლის ხელმძღვანელებსა და მოცეკვავეებს აიპ „საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების“ ხელმძღვანელმა ბესო ღვინაშვილმა, ხოლო დეპუტატი ლექსო იოსელიანი, მერის წარმომადგენელი ერეკლე გვიდანი მომავალში გვერდში დგომას და დახმარებას დაჰპირდა ანსამბლის ხელმძღვანელობას და მოცეკვავეებს.

ანსამბლის თითოეული მონაწილე ამ დღეს დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომით, რომელიც მათ თავიანთი მონდომებით და ნიჭით დამსახურებულად მოიპოვეს.

კულტურის დღეები
მი-რე-ლას კონცერტი საგარეჯოში

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კულტურის სახლთან არსებული მუსიკალური სტუდია „მი - რე - ლა"- ს უმცროსი და უფროსი თაობის მოსწავლეთა მონაწილეობით ივნისის ბოლოს ქართული სიმღერის საღამო გაიმართა.

სტუდია არსებობის თითქმის ორ ათეულ წელს ითვლის...

ანსამბლის ხელმძღვანელის - მარინა ურდულაშვილის დაუღალავი შრომის და საქმისადმი დიდი სიყვარულის შედეგია სტუდიის წევრების არაერთ კონკურსში მიღწეული წარმატება და ჯილდო...

კონცერტს საგარეჯოს მუნიციპლიტეტის ხელმძღვანელი პირები და მუსიკის მოყვარულები ესწრებოდნენ.

ეკატერინე გაბაშვილი – 170
ინტერესი დღესაც დიდია

ქართული პროზის და საბავშვო მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლის - ეკატერინე გაბაშვილის 170 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გაიმართა, რომელიც ბიბლიოთეკარ **ვერიკო კერატიშვილის** ორგანიზებით ჩატარდა.

ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ საგარეჯოს №1, №2 და №3 საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც წაიკითხეს ნაწყვეტი ეკატერინე გაბაშვილის უკვდავი მოთხრობებიდან და მის მოღვაწეობასა და შემოქმედებაზე ისაუბრეს.

ეკატერინე გაბაშვილი ქართული პროზის და საბავშვო მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მას კარგად ესმოდა აღზრდის მნიშვნელობა და ამ საქმეში დიდ როლს საბავშვო წიგნს ანიჭებდა. მას ეკუთვნის მოზარდების საყვარელი ცხრა მოთხრობა: "მაგდანას ლურჯა", "ხატური ჩემია", "თინას ლეკური", "ღვინია გადაიჩეხა", "სამშობლო ხევსურისა" რა ჰქმნა", "ბაირახტარი", "მშიერაძის ოჯახი", "უსინათლო ლექსო" და "კონა". ეს ნაწარმოებები გამოირჩევიან ცხოვრებისეული სიმართლით. სიკეთისა და ბოროტების მძაფრი ფერების დახატვით. მწერალი პატარა მკითხველთა გულში უარყოფითისადმი სიძულვილს, უსამართლოდ დაჩაგრულისადმი თანაგრძნობასა და სიბრალულს აღძრავდა. ეკატერინე გაბაშვილის საყმაწვილო მოთხრობებზე მრავალი თაობა აღიზარდა. მისი შემოქმედება პატარა მკითხველის დიდ ინტერესს დღესაც იწვევს.

ღონისძიებას საგარეჯოს ა ა. (იპ) კულტურის ობიექტების გაერთიანების დირექტორი ბესიკ ღვინაშვილი ესწრებოდა, რომელმაც მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორს ვერიკო კერატიშვილს ,ასევე დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის ღონისძიებების ჩატარებას მიესალმება.

ღონისძიება ქვეყანაში მოქმედი რეგულაციების სრული დაცვით ჩატარდა.

ნინო გვაგვალია,
აიპ „საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების“ პრესსამსახური

საგარეჯოს თოჯინების სახალხო თეატრი 65 წლისაა

თოჯინების თეატრის ხელმძღვანელი, თოჯინების დედა – მარინა შიოშვილი:

„მე ჩემი თოჯინები უსასყიდლოდ მაქვს გაკეთებული ჩემი რაიონისათვის“

<u>დასასრული</u>



„ზარმაცი კიკო“...

– თქვენ ჩვენი რაიონის სოფლის საბავშვო ბაღებსა და სკოლებშიც გქონდათ გასვლითი სპექტაკლები. აქაც, თოჯინების ამ ლამაზი თეატრის ლამაზ დარბაზშიც მოდიან სიხარულით. რაიმე კურიოზი ხომ არ გახსენდებათ?

– დიახ, ჩვენ თითქმის ყველა სოფელი გვაქვს „მოვლილი“. ერთხელ ეთნიკურად აზერბაიჯანელ ბავშვებს ვაჩვენებდით სპექტაკლს – „სამი გოჭი“. ეპიზოდია ასეთი, გვაინტერესებს პატარა მაყურებლის ემოცია, მგელმა უნდა შეჭამოს თუ არა გოჭი. ქართველი ბავშვები დარბაზს ავსებენ ყვირილით – „არ შეჭამო!“, „არ შეჭამ“-ო. ეთნიკურად აზერბაიჯანელები კი ყვიროდნენ – შეჭამე, შეჭამე!-ო. ახლა მოგეხსენებათ, ჩვენი „აღმზრდელობითი დანიშნულების“ სპექტაკლი და ვნერვიულობთ – არა, არ უნდა შეჭამოს მგელმა გოჭი. აღმზრდელმა გვითხრა: – თქვენ ხომ იცით, ჩვენს ხალხს ღორი ბინძურ პირუტყვად ჰყავს მიჩნეული-ო.

– როგორ ჩაიარა გამოფენამ, რომელიც თოჯინების თეატრის 65 წლისთავს მიეძღვნა?

– საოცრად ლამაზად. მოდიოდნენ, ნახულობდნენ, გადმოსცემდნენ თავიანთ ემოციებს. იცით?! ძალიან აინტერესებთ თოჯინები, დეკორაციები. სულ სხვა შთაბეჭდილებები ისახებოდა მათ სახეებზე.

– გამოფენა მართლაც არაჩვეულებრივია. აქ წარმოდგენილი პიესებიდან თოჯინები, დეკორაციები, მკაფიოდ ჩანს დიდი მონდომება და ძალისხმევა, შრომა...

– დიახ, ერთი თვის განმავლობაში ოთხმა ადამიანმა ძალიან სათუთად ვამზადეთ ეს გამოფენა: დეკორატორი – მიშა ხოკერაშვილი, მხატვარი – თამარ იორამაშვილი, მუსიკალურად ვანო თოლომაშვილი აფორმებს, კიდევ ირაკლი ლიპარტელიანი, მაგრამ რომ გითხრათ სიმართლე, აქ თითოეული დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ. ჩვენი მუშაობის მთავარი პირობა ჩვენი თეატრის წარმატებისა არის გუნდურობა და პასუხისმგებლობა, ერთიანობა, თითოეულის ნიჭიერება.

– მარინა, რომელი თოჯინაა ყველაზე საყვარელი თქვენთვის, როგორც მეთოჯინისათვის?

– ყველა. ყველა თოჯინა ერთნაირად მიყვარს. ზოგიერთი თოჯინის ნაკლი ვიცი. როგორ შეიძლება არ მიყვარდეს კეკე, წრუწუნები, სამი გოჭი, პინგვინები, ჰიპოპოტამი... ისინი ბევრი არიან, ქაჯანა, მელკუდა, რუხი მგელი, მანანას ბატი, ჩექმებიანი მგელი, წითელქუდა... დღემდე ძიებაში ვარ, რა გავაკეთო, როგორ მივაწოდო ბავშვს სულიერი საზრდო. მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს მეც და თითოეულ ჩვენგანს ის, რომ ჩვენი თოჯინების თეატრი გამორჩეული თეატრია სახალხო და მოყვარულთა თოჯინების თეატრებს შორის ასაკით, რეპერტუარით, თოჯინებით, დეკორაციებით, მუსიკალური გაფორმებით და ამასთან, ცოცხალი მუსიკალური გაფორმება ადგილზე კეთდება, და ისიც, რომ 9 სპექტაკლის დადგმა ადვილი არ არის, ესეც ხომ სიმართლეა. და რითი ვარ ამაყი, იცით?! მე ჩემი თოჯინები უსასყიდლოდ მაქვს გაკეთებული ჩემი რაიონისათვის, მომავალი თაობებისთვის.

– მომავლის გეგმები როგორია?

– მომავლის გეგმებიც და მიზნებიც ერთია – ჩვენი პატარა, გემოვნებიან მაყურებელს მათთვის საინტერესო გარემო შევუქმნათ, დავდგათ ახალი სპექტაკლები და კვლავ ავაღორძინოთ საბავშვო თეატრი, რომელიც მხოლოდ გასული წლების 90-იანი წლებისთვის არ იყო საინტერესო ბავშვებისათვის.

– წარმატებებს გისურვებთ!

– გმადლობთ

ხსოვნა

ვალერი ბეჟიაშვილი

წლებს მოაქვს მუდამ 6 ივლისი
შენი ძმებისთვის დარდი ათასი.
ეს შენი დაბადების დღე არის,
მაგრამ უშენოდ არა აქვს ფასი.
შენ ხომ თვით ღმერთმა გამოგარჩია,
დაუნდობელი სიკვდილის ხელით
და წაგიყვანა ძალზე ადრიან,
ვერ აისრულე ოცნება შენი.
რამდენჯერ ჩავა მზე და ამოვა,
ოხ, რა ძნელია უშენოდ ყოფნა,
38 ვარდს დედა მოგიტანს,
მაგრამ მწარეა იმათი მოვლა.
მწარე ყოფილა შვილის სიკვდილი,
დედას სულ მუდამ თვალი აქვს სველი,
შენ ხომ შვილიც არ დაგრჩენია,
მიტომ გაცივდა კერია შენი.
ტირილი, გლოვა, თვალზე ცრემლები,
ეს ხომ მშობლების მწარე ხვედრია,
მაგრამ საძმო და სამეგობრო
6 ივლისს მაინც შენთან ხვდებიან.
ყველას უყვარხარ, დიდს – თუ პატარას,
რა ვქნათ სიკვდილი თუ დაგებედა,
სოფელს უყვარხარ ჩემო ვაჟკაცო,
მიტომ გიწოდეს „კაცი-ლეგენდა“.
იძინე ტკბილად უიღბლო კაცო,
კაცურო კაცო, მართლაც ლომგულო,
დიდ წინაპრების გვერდით იდექი
გიორგიწმინდაზე შეყვარებული.

მამა
ფრიდონ ბეჟიაშვილი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია თანაგრძნობას უცხადებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს გიორგი ერბოწონაშვილს ბებიის

მერი როსტიაშვილი-ერბოწონაშვილის

გარდაცვალების გამო.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაგრძნობას უცხადებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს გიორგი ერბოწონაშვილს ბებიის

მერი როსტიაშვილი-ერბოწონაშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს გიორგი ერბოწონაშვილს ბებიის

მერი როსტიაშვილი-ერბოწონაშვილის

გარდაცვალების გამო.

თინა ილაური, დალი გუსარიშვილი, დალი როსტომაშვილი თანაგრძნობას უცხადებს სანდრო, ნანა, გიორგი, ზვიადი ერბოწონაშვილებს, მაია ანუაშვილს დედის, ბებიის და დედამთილის

მერი როსტიაშვილი-ერბოწონაშვილის

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“ გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორ-პრესში“.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com; gareji2011@mail.ru